საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4255
06/06/2023

4255-21-2-202306061311

სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3344 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთში, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს ნაპირდამცავი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღარში, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორება 280 მეტრამდეა, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 225 მეტრით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, ხოლო წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ მთლიანი 6 494 $მ^2$ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 133 $მ^2$ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (ონის სატყეო უბნის ღარის სატყეოში, კვარტალი №16-ის მიმდებარედ). ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 133 $მ^2$ ზედდებაშია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელის (ლიცენზიის №000019) შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას“ ფართობთან. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის

№221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკასთან“ შეთანხმების შესახებ;

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი გრუნტის მოცულობის და შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო